მუშარცაბ ხოც.-დემ. ქართ. ხარჯ. პარტია

წელიწადი მეხუთე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 1,000,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 40,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახაზლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 200,000 მან. [illegible]
4 „ 150,000
სამგლოვიარო განცხადება:
1 გვ. 2,500,000 მან.
4 „ 2,000,000 „

№ 498 კვირა, ივნისის 17 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 40,000

უსაზღვროთ დამწუხრებულნი: ანეტა და ქეთო დავითის ასულნი და ბესარიონ დავითის ძე ქლენტები აუწყებენ მეგობართა და ნაცნობთ თავის ღრმა გულის ტკივილს დაუვიწყარ პოეტისა და ძვირფასი მეგობარის

## სანდრო ცირეკიძის

უდროოთ დაკარგვის გამო.

18 ივნისს მოწვეულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესია.

## სესიის დღის წესრიგი:

1) დებულება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სასამართლოს წყობილებისა.
2) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.
3) სამოქალაქო კოდექსი.
4) საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა.
5) აგრონომიული დახმარების ორგანიზაცია.
6) ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოღება.
7) თიანეთის მაზრის შემოერთება დუშეთის და თელავის მაზრებზე.
8) საკავშირო ხელშეკრულების შესახებ.
9) საქართველოშკი შიმშილობის შედეგებთან მებრძოლ კომიტეტის მუშაობის შესახებ.
10) მიმდინარე საითხები.

3—3 ს. ს. ცაკის მდივანი: პ. საბაშვილი.

## ხელოვნების სასახლე.

ორშაბათს, 18 ივნისს ხელოვანთა სისახლეში (სერგ. ქ. № 13). შესდგება სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტის

## საჯარო სხდომა

მოხსენებას წაიკითხავს

**კოტე მარჯანიშვილი**: „ქართული თეატრის მომავალი“.

სიტყვებს იტყვიან მთავარ კომიტეტის წევრები:

**პაოლო იაშვილი**: „შარშანდელი სეზონი“.

**ლეო ქიაჩელი**: „თეატრი ძიების“.

**ტიციან ტაბიძე**: „თეატრი და ლიტერატურა“.

დასაწყისი სალ. 7 საათზე შესვლა კავშირის წევრებისა და სტუმრებისთვის უფასოთ.

2—2 მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე: **კოტე მაყაშვილი.**

## კომინტერნის მორიგი ამოცანები.

მოსკოვში გაიხსნა და მუშაობს მე სამე კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმი.

ვინც თვალყურს ადევნებს საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებას და კომინტერნის საქმიანობას, მისთვის ცხადი იქნება სამსოფლიო რევოლიუციის შტაბის მუშაობის მნიშვნელობა. კომინტერნის ახალ აღმასკომის მუშაობას აქვს ექვსი თვის ისტორია. ამ ხნის განმავლობაში მრავალი საგულისხმო მოვლენები მოხდა, როგორც მსოფლიო მასშტაბით, ისე კერძოთ საბჭოთა ფედერაციის პოლიტიკურ ცხოვრებაშიაც.

ბურჟუაზიულ მსოფლიოში ამ ჟამად მეტად საინტერესო ხასიათის ცვლილებებს აქვს ადგილი. ირაზმება, ჯგუფდება არა მარტო კაპიტალისტური წრეები მუშების წინააღმდეგ. სოციალისტურ მიმართულებებში არსებული სექციებიც დაადგა გაერთიანების გზას. ვენის და ამსტერდამის ინტერნაციონალები ფაქტიურად და ოფიციალად მოექცა რკინის კალაპოტში. სოციალ-დემოკრატიული, რეფორმისტული მიმდინარეობანი საკმაოდ ჩამოყალიბდა ერთ გარკვეულ პოლიტიკურ მიმართულების სახეში. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ „სოციალისტების“ საერთო ენაზე ალაპარაკება ბურჟუაზიულ ევროპის ტერიტორიაზე მომასწავებელი იყოს შრომისა და კაპიტალს შუა არსებულ წინააღმდეგობის გამწვავების, მუშათა კლასის კაპიტალისტებზე გამარჯვების. გაერთიანებული რეფორმიზმი განაგრძნობს დახავსებულ მეთოდებით „ბრძოლას“, ძველი აზრებით საზრდოებას საზოგადოების დაბალ წრეებში. რეფორმისტულ ინტერნაციონალების გაერთიანებამ ახალი ამოცანა წამოუყენა კომინტერნის მესვეურებს. კომინტერნი წარსდგა ახალი საკითხის გადაწყვეტის წინაშე. ეგ საკითხია: რეფორმისტულ რიგების დაშლა და ევროპის პროლეტარულ მასსაში რევოლიუციონური სტიქიის გაძლიერების საშუალებით. კომინტერნს უხდება დაპირისპირება აგრეთვე საერთაშორისო რეაქციის განვითარება-გაძლიერებასთან. კაპიტალისტური რეაქცია ფაშიზმის სახით საკმაოდ მოღონიერდა. ინგლისის პოლიტიკური გამოლაშქრება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წინააღმდეგ იმპერიალისტურ ბურჟუაზიის აგრესიული პოლიტიკის დასრულებულ ფორმულაში გამოთქმაა. ანტანტას არ დაუკარგავს საბჭოთა რუსეთის დამარცხების რწმენა. კომინტერნის აღმასკომის პლენუმმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს რეაქციის გამოლაშქრებას და გამონახოს სწორი ტაქტიკა, მიზანშეწონილი გეგმა საერთაშორისო კაპიტალთან დაპირისპირებისათვის.

ამოცანათა შემდეგი რგოლები იჯაჭვება თვით საბჭოთა ხელისუფლების სინამდვილეში. ამას წინეთ დასრულებულ კომპარტიის ყრილობამ მრავალ საგულისხმო პრობლემების გადაწყვეტა სცადა პრაქტიკულად: მუშებისა და გლეხების ორგანიულად დაკავშირება და ეროვნული საკითხის მოწესრიგება.

კომინტერნის მუშაობის ანგარიშის შესახებ მოხსენებაში ამხ. ზინოვიევმა ხაზგასმით აღნიშნა: ინტერნაციონალის თითქმის ყველა სექციები გულგრილად უყურებს ეროვნულ საკითხს და მუშებსა და გლეხებს შორის მჭიდრო კავშირის შექმნას. ამხ. ზინოვიევის სურვილია სექციების ასეთი ტენდენციის ლიკვიდაცია. აშკარაა, სხვა გზა არ არსებობს, გარდა კომინტერნის მიერ სალი მეთოდის გამარჯვებისა ეროვნულ საკითხის გონივრულად გადაწყვეტაში.

რუსეთის კომპარტია ტონის მიმცემია მთელი კომუნისტური ინტერნაციონალის. მისი პრაქტიკული მოღვაწეობა მდიდარია შინაარსით. ნაციონალი საკითხი იყო სწორედ ის ძირითადი მნიშვნელობის საკითხი, რომელიც წამოიჭრა კომპარტიის წინაშე რევოლიუციის ძლევამოსილ მიმდინარეობაში. უკვე საკმაოდ ცხადია ყველმსათვის ის დებულება, რომ საერთაშორისო რევოლიუციის ერთ-ერთი მძლავრი მიზეზთაგანი დაჩაგრულ ხალხების ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაა. გამოაკელით ეროვნულ საკითხის შესახებ მუხლი კომინტერნის პლატფორმაში, გინდ რუსეთის კომპარტიის სამოქმედო პროგრამაში და თქვენ მიიღებთ საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ მებრძოლ ძალების ათასჯერ გაძლიერებას. ინდოეთი, ავღანისტანი და მთელი რიგი კოლონიები თანაუგრძნობს კომინტერნს, როგორც ეროვნული თავისუფლების მედროშეს. თუ კომინტერნის სექციებში გაუგებრობაა, ეს აიხსნება უმთავრესად იმით, რომ ამ სექციებს არ აქვთ უშუალო კავშირი ეროვნულ საკითხთან. ალბათ მათთვის ეროვნული ჩაგვრა-მონობის საკითხი არ არსებობს. რეფორმისტული მარქსიზმის გავლენა კიდევ დიდია კომინტერნის შემადგენელ ელემენტებზე. უნდა მოისპოს ორჭოფობა, მით უმეტესად, ამხ. ზინოვიევის ტერმინით რომ ვსთქვათ—**пренпрежение** ეროვნულ საკითხისადმი. ეს არის კომინტერნის პრაქტიკული ამოცანა, მქონე საერთაშორისო მნიშვნელობის და რევოლიუციონური ღირებილების.

გლეხობის ღარიბ ნაწილის ჩაბმა რევოლიუციის პროცესში და მისი ორგანიულად დაკავშირება ქალაქის პროლეტარიატთან ერთად ერთი გარანტიაა საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის გამარჯვების. რუსეთის რევოლიუცის მაგალითი ადასტურებს ამ მოსაზრებას. მშრომელი გლეხი ქარხნის მუშასთან ერთად იბრძვის რევოლიუციის ჰორიზონტზე, სავსებით სამართლიანი და მიზანშეწონილი თქმა ამხ. ზინოვიევის: **მუშათა მთავრობის ლოზუნგი უნდა შეიცვალოს მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგად. ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც მოიწონა კომინტერნის მეოთხე კონგრესმა, უნდა გატარდეს საერთაშორისო მასშტაბით.** კომინტერმა სახელმძღვანელო პრინციპად უნდა გაიხადოს ეს ფორმულა. მშრომელი გლეხობა წარმოადგენს საკმაოდ რეალ ძალას თვით კაპიტალისტურად უაღრესად განვითარებულ სახელმწიფოებში. „ნეპო“ საშუალეებაა მუშებისა და გლეხების დაახლოება-დაკავშირების. მისი საერთაშორისო მასშტაბით გამარჯვება მუშებისა და მშრომელ გლეხების გაერთიანების მომასწაველია არა მარტო „უკულტურო“ გლეხურ ქვეყნებში, არამედ პროლეტარიზაციისა და კონცენტრაციის სამეფოებში. მაშასადამე, ღარიბ გლეხთა მასსების და ქარხნის დაქირავებულ მშრომელთა საერთო მოქმედების ხაზზე დაყენება მსოფლიო მასშტაბით ერთი მთავარი ამოცანთაგანია კომინტერნის რევოლიუციონურ შემოქმედების წინაშე წამოჭრილი. კომინტერნის მეხუთე კონგრესმა უნდა სანქცია მისცეს რუსეთის კომპარტიის მიერ წარმოებულ პოლიტიკას სოფლისა და ქალაქის დაახლოების საქმეში და მოხაზოს ახალი კონტურეში მთელი ქვეყნის საზომით მუშურ-გლეხურ დიქტატურის დამყარება-განმტიცებისათვის. უეჭველია, ძველი მარქიზმის თვალსაზრისი გლეხკაცობის მიმართ არ მისცემს ზოგი-ერთებს ამ საკითხის პრაქტიკულად დაყენების საშუალებას. რევოლიუცინურმა ლენინიზმა უნდა მოახდინოს კომპარტიის რიგებში აზროვნების ძველი აპარატის მიზანშეწონილი და საქმიანი ოპერაცია. რეალ სინამდვილეს დაშორებული აზრები, ყალბი შეხედულებები და პოლიტიკური გზები ერთხელ და სამუდამოდ უნდა იქნას უკუგდებული.

## უჭარო გენერლები



რაც გავჩქდით, ფეხი ავიდგით, ავი და კარგი შევიგნეთ,
— რუსეთს მოვცილდით, სახლიდან, ევროპას კვალი გავიგნეთ,—
ჭორების „ფურგუნს“ დავათრევთ, იგი ხელობათ ავიღეთ.
ქვეყანა მითი შევსძარით, ნამუსიც ბევრი გავიღეთ;
ბრილიანტები და ოქრო ბევრისგან ბევრი წავიღეთ,
კერზონს მივართვით და მის წინ თავი ფერხთამდე დავიღეთ...

## ტელეგრამები

**რუსეთი და ინგლისი.**

**ლონდონი.** 13 ივნისი. „დეილი ტელეგრაფი“ იუწყება, რომ ოფიციალურ წრეებში რუსეთის ნოტას მისაღებად თვლიან. დაახლოვებით ამ ხასიათის პასუხი მიეცემა კრასინს ამ დღეებში.

**ლონდონი.** 13 ივნისი. ლიბერალური გაზეთები ხაზს უსვამენ, რომ რუსეთის წინადადება კონფერენციის მოწვევის შესახებ მეტად მიზანშეწონილიაო ყველაზე სწორი ნაბიჯი იქნება საბჭოთა მთავრობის ცნობა. „დეილი ჰერალდი“ მიუთითებს, რომ სანამ ურთიერთობა რუსეთთან მოგვარებულია, ადვილი იქნება ყოველგვარი გაუგებრობის წარმოება. გაზეთი საჭიროდ თვლის საბჭოთა რუსეთის ცნობას და მასთან ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას.

**ლონდონი.** 13 ივნისი. რუსეთის ნოტის მიღება ოფიციალურად დადასტურებულია. ნოტა გამოქვეყნდა პრესაში, მაგრამ პრესა სდუმს, რადგან კონსერვატორებს სურთ საშვალება მისცენ მთავრობას მშვიდობიან გზით მოაგვაროს კონფლიქტი.

**სამხედრო გადატრიალება ბულგარეთში.**

**ვენა.** 13 ივნისი. ბულგარეთის შინაური მდგომარეობა ჯერ გამოურკვეველია. მთავრობა აცხადებს, რომ იგი შეასრულებს წინა მთავრობის მიერ დადებულ ყველა ხელშეკრულებას.

**ბელგრადი.** 13 ივნისი: სამხრეთ სლავიის გაზეთები ირწმუნებიან, რომ სტამბულინსკი სოფიაზე გალაშქრებას ამზადეს მის განკარგულებაშია 20 ათასი გლეხი და არტილერია.

**ბელგრადი.** 13 ივნისი. სამხრეთ-სლავიის მთავრობა უარყოფით ეკიდება ბულგარეთის ახალ მთავრობას და აღნიშნავს რომ ბულგარეთის ბურჟუაზიული ბლოკის გამარჯვება მომასწავებელია ძველი ბულგარეთის აღდგენისა, რომელიც მუდმივ საფრთხეს წარმოადგენდა სამხრეთ-სლავიისათვის.

**ბუქარესტი.** 13 ივნისი. რუმინეთი ამაგრებს დობრუჯის საზღვრებს იმ შიშის გამო, რომ ბალკანეთის ავტონომისტური მოძრაობა რუმინეთის განაპირა ოლქებსაც არ მოედოსო.

რუმინეთის გაზეთები დიდს თავდაჭერილობას იჩენენ ბულგარეთის გადატრიალების შესახებ.

**ბუქარესტი.** 13 ივნისი. რუმინეთის კომუნისტური პარტიის ორგანო „სოციალიზმულ“-ი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბულგარეთში მომხდარი გადატრიალება ახალი კვანძია იმპერიალისტური ჯაჭვისა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული.

## ახალი ამბები

მოსე თოიძის სტუდიის გამოფენა დღეს დაიხურება სალამოს 10 საათზე მთელი დღე ღია იქნება.

— **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** სამშაბათს, ივნისის 19-ს, სალამოს 7 და ნახ. საათზე, ხელოვნების სასახლეში (სერგის ქუჩ. № 13), მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც წაიკითხავენ მოხსენებებს: 1) პროფ. კ. კეკელიძე—„ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში“, 2) სარგის კაკაბაძე—„ლაზების სახელმწიფოს ეთნიურ-კულტურულ თვისებათა შესახებ“. კრება საჯაროა.

ახალი ამბე

— **იუზა ზარდალიშვილის უფლებებში აღდგენა.** შრომის კომისარიატის განკარგულებით თეატრების ყოფილი კომისარი იუზა ზარდალიშვილი მთლი გამართლების გამო. სრული ჯამაგირის დაბრუნებით აღდგენილია თავის სამსახურის უფლებებში, რაიც ეცნობა სახალხო განათლების კომისარიატს სათანადო განკარგულებისათვის.

— **სეტყვა მანგლისში.** ივნისის 7 მანგლისში და მის ახლო სოფლებში მოვიდა დიდი სეტყვა. დაზარალებულია რამოდენიმე სოფელი. ზარალი დიდია.

— **ლექცია.** დღეს სახელმწიფო 1-ლ კონსერვატორიაში დილის 11 საათზე ცნობილი ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი წაიკითხავს ლექციას ქართველ ებრაელების შესახებ. ლექციის შემოსავალი გადაეცემა ებრაელების დამხმარე კომიტეტს.

— **აგარაკების გამგის დანიშვნა.** ალმასკომის პრეზიდიუმმა აგარაკ კოჯრის, ტაბახმელის და კიკეთის გამგებლობა დაავალა ამხ. ჩხეტიას. აღნიშნულნი აგარაკები დღემდე იმყოფებოდა კოჯრის ალმასკომის განკარგულებაში, ხოლო ამიერიდან კი ვიდრე დაარსდებოდეს უძრავ ქონების სამმართველო—აგარაკები ექვემდებარება ტფილ. ალმასკომის პრეზიდიუმს.

═ **მიწად-მოქმედ კომისარიატი ბავშვების დასახმარებლად.** აღნიშნულმა კომისარიატმა გაუგზავნა ბავშვების სახლს—20 ყუთი კონსერვი, 10 ცალი ტანისამოსი, 150 არშინი მანუფაქტურა და სხვა.

— **მოსავალი აჭარაში.** აჭარაში ბოლო ხანს საშინელი გვალვები იყო, რომელმაც გაახმო ნათესი, მაგრამ ბოლო დღეებში მოვიდა წვიმები და გაადაარჩინა ნათესი დაღუპისაგან.

## სანდრო ცირეკიძე

**გამოსათხოვარი**

გადავეჩვიეთ ტირილს.

გულს თანამედროვე ადამიანისას შეიძლება უფრო ადვილად გადმოსკდეს სისხლის ნიაღვარი, ვიდრე ცრემლების.

მაგრამ... **სანდრო ცირეკიძე** ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებულია და უჩვეულო, როგორც მთელი თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით.

და ვფიქრობ, მხოლოდ სანდროს დაკარგვის საშინელებას შეუძლია დაუბრუნოს სირბილე ჩვენს გაფოლადებულ გულს და გვაგრძნობიოს მწუხარების სიმწვავე და უსაზღვროება.

მძიმეა ეს წუთები და ამდენათ შეუძლებელია ეხლა მასზე წერა საფუძვლიანად და ლოგიურად.

ეხლა, როდესაც ქალაქის საავადმყოფოს ერთ ერთ კუთხეში კიდევ საგრძნობია შრიალი მისი ჯვარცმული სულის წასატაცად მოსულ სიკვდილის ან კიდევ, როცა ქაშვეთის სამლოცველოში, რელიგიოზურ სამლოცველოში, რელიგიოზურ მისტიკის კვამლში, მისი განაწამები შუბლი უცდის მეგრობრების უკანასკნელ ამბორს, თითქოს ოცნებობს სიცოცხლეში დაბრუნებაზე.

ჩვენ არც ვფიქრობთ ასეთ განწყობილებაში შევეცადოთ მის შესაფერ დაფასებას, როგორც პოეტის და შემოქმედისას.

ეს გადაიდოს მანამდე, სანამ დრო ოდნავ მაინც შეანელებს ბოლმას.

ეხლა მხოლოდ შტრიხებით შეიძლება გავიხსენოთ ამ ჯერ დაუფასებელ პიროვნების ცხოვრება და შემოქმედება.

ჯერ კიდევ ქუთაისის რეალური სასწავლებლის მოსწავლე. თავისი ნიჭითა და ენერგით იპყრობს საზოგადოების ყურადღებას.

მე მაქვს, როგორც იდეალური მოგონება მისი გატაცებული და თავდავიწყებამდე მისული ფიქრი განთავისუფლებულ სამშობლოზე და მშობლიურ ხელოვნებაზე და ამ მხრივ დაუღალავი ჩუმი მუშაობა ახალგაზრდული ენტუზიით.

სასწავლებლის დამთავრებისას უმაღლეს კულტურას მოწყურებული ახალგაზრდა თავის ახლო მეგობრებთან ერთად მიეშურება პეტერბურგში.

ჩრდილოეთის სუსხიანმა და ნესტიანმა სატახტომ არ მიიკარა მხურვალე აღმოსავლეთის შვილი და სხვებთან ერთად, (რომელთა საფლავებს ეხლა უკვე ვარდები და ბალახები ფარავენ), მასაც საბედისწერო დაღი დააჩნია.

მას შემდეგ რაც, 10 წლის განმავლობაში იგი გრძნობდა სიკვდილის ჯოჯოხეთურ თანამგზავრობას და ტუბერკულიოზის ბაცილებით განაწამები ხარბათ იწოდა სიცოცხლისა და შემოქმედების სიყვარულით.

იგი პირველი კურსის სტუდენტი იყო, როდესაც ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში თავი იჩინა ახალმა საპოეზიო მიმართულებამ.

მხედველობაში გვაქვს „ცისფერი ყანწები“,

სანდროს წილად ხვდა მხურვალე მონაწილეობა ამ სკოლის დაარსებას და გამაგრებაში.

მან პირველმა დააყენა პრობლემა ახალი ქართულ პროზის. მან განამტკიცა ფორმა მინიატურისა ჩვენში და ბოლომდე ფარავდა ყველა თანამგზავრს და მიმდევარს ახალ პროზისას.

ის უჩვეულოდ უფრთხილდებოდა შემოქმედებას და სწერდა იშვიათად.

ამიტომ იყო, რომ ყოველი მისი ახალი სტრიქონი იყო მოვლენა განსაკუთრებული და უხილავი ჩვენი ლიტერატურის მაშტაბით.

მისი მინიატურების პირველი წიგნი „მთვარეულები“ ერთი შეხებით იძლევა რწმენას ახალი გაგებას და დიდი ქმედითი პოტენციის მქონე პოეტისას.

მან ხელოვნების გაგებით გაუსწრო ყველა თანამედროვე „ყანწელს“ და ყოველი წერილი იყო პრობლემის ახალი დაწურვა.

ჩვენ ვგრძნობდით მას ყოველ სიტყვაში გიგანტურ ნაბიჯს მემარცხენე შემოქმედებისაკენ და ველოდით კიდევ მეტს...

„ყანწების“ შემდეგ ამ სკოლას მთელი ლიტერატურის ინიციატივა ეკუთვნის სანდრო ცირეკიძეს.

„კირჩნიბის“ გამომცემლობა; „მეოცნებე ნიამარები“, „შვილდოსანი“ დარჩება, როგორც მისი პირადი დამსახურება ქართული ლიტერატურის წინაშე.

სანდრო ჯერ სავსებით ახალგაზრდა იყო და მით უმეტეს საგრძნობია ეს დანაკლისი.

ძვირფასო სანდრო, შენ იყავი ყველაზე თილშობილი და საყვარელი პოეტი.

შენ გიყვარდა ჩვენი ოცნებების შემდების ენტუზიით.

უსაზღვროა ჩვენი მწუხარება, რეფორმების დაშორებით. შენთვის საყვარელ ქართულ ეზისაგან.

წაიღე უკანასკნელ სიხარულათ ჩვენი და მთელი კულტურული საქართველოს სიყვარული.

ქართული კულტურის და პოეზიის მკვლევარი ვერ გაივლის შენს სახელთან შეუჩერებლივ.

შენს დალურსმულ გულს წაყვეს ეს ბედნიერება და უკანასკნელი კოცნა მშობელ ქვეყანას.

ბ. ჟ.

## ზოგი რამე

## ჩვენზე მოწყვეტილ ქართველთათვის.

გასულ კვირაში **ტრიბუნის** ერთ ერთ ნომერში დაიბეჭდა ჩვენი დაუღალავი სამუსიკო მოღვაწის ძუკუ ლოლუას წერილი, რომელიც ეხებოდა სოჭის რაიონში მოსახლე ქართველობას. წერილი გამოუწვევია მთავრობის მიერ წესდების დამტკიცებით უკვე განხორციელებულ მისწრაფებას, რომელიც საგნად ისახავს მუსლიმან ქართველთა ეროვნულ კულტურულ დახმარებას. თითქოს ერთგვარი საყვედურის კილოც ემჩნეოდეს, რომ აი ამ დროს ყურად უღებლივ უნდა დაჰრჩეს ხუთას მოსახლეზე არა ნაკლები ქრისტიანი ქართველობა, რომელიც სოჭის რაიონში სცხოვრებს.

როგორც მკითხველს მოეხსენება, მე ვეხებოდი ამ საქმეს უფრო ვრცლად და ვასახელებდი საერთოდ ქართველობას, რომელიც საზღვარ გარეთ მკვიდრობს და სრულიად უმწეო არის ეროვნულად თავი დაიცვას გადაგვარებისაგან. ასეთია სპარსეთ-ოსმალეთ-ადერბეიჯანის მუსლიმან ქართველებს გარდა აგრეთვე ქრისტიანი ქართველობა თურქესტნის, ჩრდილოეთ კავკასიის და, როგორც ეხლა პატივცემული ძუკუ გვაუწყებს, სოჭის რაიონისაც. მე ვეჭობდი და ეხლაც ვეჭობ, ქართველთ ეროვნულ კულტურულ ი განვითარების საქმე საქართველოს შემავალ ავტონომიებში აფხაზეთ-აჭარა-სამხრეთ ოსეთში იდგეს ჯეროვან სიმაღლეზე. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ბეჭდვით განვაცხადე, არავითარი ცნობა არც კერძო, არც ოფიციალი არ მოგვეპოება მეთქი. მაგრამ დღესაც არ ვიცით საქმის გარემოება, რადგანაც ასეთი ცნობა საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ არავის მოუწოდებია. მაშასადამე თურქესტნის, ჩრდილოეთ კავკასიის და სოჭის რაიონის ქართველთა მდგომარეობა ამ მხრით უფრო უნუ... შო უნდა იყვეს.

მართლა, როგორ მოვაგვაროთ საქმე, რ... ბოლოს სანანელი არ გაგვიხდეს? დამტკიცებუ... წესდების ძალით განზრახულია დახმარება მუს... მანი ქართველობისა. ჩვენსე მოწყვეტილ ქრისტ... ქართველთა დახმარება კი გაუთავისწინებელია. ... საკითხი შეიძლება ორნაირად გადასწყდეს, ან ... არსდეს ტაშკენტს, კავკავსა და ცხუმში დამოუ... დებელი კომიტეტები, რომელნიც თავს იდებ... თავთავიანთი რაიონის ქართველთ ეროვნულ კუ... ტურულ დახმარებას, ან შეტანილ იქმნეს წესდებ... ში ერთი მუხლი ხსენებულ სამ ქალაქში ფილიალ... ბის დაარსებისთვის შეძლებისამებრ საკუთარი ღ... ნისძიებით საქმის გასაძღოლად მხოლოდ ცენტრი... გან დირექტივების მიღებით. ჩვან დარწმუნებულ... ვართ, რომ ტაშკენტ-კავკავ-ცხუმის ქართველო... გულით მოეკიდება საქმეს და თავის მოძმეებს მია... ცევს სერიოზ ყურადღებას. გადახვეწილმა სომხებ... არა თუ სკოლა დაიარსეს, სადაც მათი ახალთაო... ასობით სწავლობს, არამედ მაგ. ნახიჩევან რო... ტოველმა სომხებმა თეატრიც შეჰქმნეს ის... თი, რომ სომხური ოპერის დადგმაც არ ეძნელ... ბათ, რადგანაც საჭირო ძალით მდიდარი არ... ან.

ეროვნული კულტურის საკითხი კარდინა... საკითხად უნდა მივიჩნიოთ დაშინ, თუ გარეთ მო... პოოთ მისი უფლება ჩვენს მშრომელ ხალხს, რომ... ლიც თავის საკუთარ სახელმწიფოებრივ ცხოვრ... ბაშიაც კი ხშირედა სდგას უცხო კულტურის ბ... ტონობის წინაშე.

**პეტრო მირიანიშვილი**

## ანთებული სინაზე.

**ძღვნად გ ტაბიძეს**

უმიზეზოდ წამებით—გაქურდული წამებით,
ეჭვთა იდუმალებით ასჯერ გადახეული.
მოჰქანცული ზმანებით, ცაო, გემუდარები:
რად მსპობს გადაქანებით ეს მსოფლიო წყეული.

—

ყვავს მიჰქონდა საბუდრად ჩემი სულის დიდება.
რაც კი მქონდა საკუთრად ხელთათმანში გავცვალე.
ბეგისტანი რაზული თურმე არც კი იღება.
თასი შემხვდა ნაზური—ზიზღი ვერ გამოვცვალე.

—

ენა ტკბილი—წყლიანი, პირადობით მზიანი,
თუდამ თავაზიანი მოიშხამა ეროსი...
ანგელოზთა გოდება, ვარსკვლავთ გაბოროტება,
სისხლით შეზარხოშება, ნაზი საქართველოსი...

—

ქანაობა მშვენების, ვით მზის გადაჰენება.
დროა მხარეს შენების (აღთქმა არ იგვიანებს)
სერაფიმთა გუნდებით თქვენ სულ ლოცვას უნდებით
მე მინახავს ხუნდებით მთავრე სწავლა ჰკვიანებს·

—

ელდა გადაბირების იუცხოვა ჩვენებით.
სევდა, დავრდომილება იწვის ცეცხლის ენებით.
„ცხენთა შეჯიბრებაზე“ ისევ ცეცხლის შვენებით,
მზეებრ გადაჰენებით ჰქრიან „ლურჯა ცხენები“.

ბ. პატარაია.

## ჰ ო ლ ა ს.

მე არ ვიცოდი თუ იყავით ასეთი ნაზი;
თქვენ კი ყოფილხართ საოცარი, ფაკირი მთვრალი
გელაგათ ბეჭზე სურნელება დაჩრდილულ ვაზის;
თვალი გქონიათ ავსებული შორეულ მთვარით.
ძვირფასო ჰეროლდ! პოეზიის ნაზო „ბამია“.
ვით მეტეორი დაილიეთ ძარღვიან ქარში
მოიყვანს მთვარე დაღამებას ისევ ნამიანს
და თქვენი გავლით დამწუხრდება ტბაზე ლაქაში.
მიყუჩებულა წყაროს პატარა „ოდა“
და გულდაწყვეტით იცქირება, ცაცხვი და ცხემლა;
დედამაც იცის თქვენ არ მოხვალთ ლაბირინთოდან
მაგრამ სურვილი გაგვითოვდა შორეულ ცრემლად.

**ხებესტიანე.**

## მემატიანე

მე საიქიოს ვყარაულობ ვითა ტერბერი!
მიყვარს წარსული ჩაყვითლული მწვანე თვალებით.
და საუკუნე რუსთაველის ძველი, ბებერი...
თვალწინ მიდგია, მაგონდება თვის ბრწყინვალებით.

როს დაღამდება მიყუჩდება ქალაქი შფოთვით,
ცის კაბადონზე გადიშლება ბნელი სუდარა—
ვუახლოვდები ძველ საფლავებს თაყვანით, ჩოქვით
და სიჩუმეში ყრუდ გაისმის ჩემი მუდარა...

ძველ გადარეცხილ, გადალესის, საფლავის ქვებზე
წამს ჩამოვჯდები, მივეცემი ვნებიან ფიქრებს;
წიგნებს მოვიხსნი, ჩამოკიდულს დათენთილ მხრებზე
და კვლავ გადაშლი ისტორიის ობიან ფურცლებს...

აიშლებიან ჩემს გარშემო მავნე სულები,
გარდაიხდიან სხეულიდან შავ მოსასხამებს
და მთაწმინდაზე გადმომდგარნი, გადმოსულები,
დალევენ სწრაფად, საცეკვაო მათრობელ შხამებს...

და შეიქმნება ჩემს გარშემო ალიაქოთი...
აჭიჭყინდება შავ სივრცეში ზურნა, არღანი;
თრთის და კანკალებს ჩემ წინაშე ავსული ლოთი—
მაგრამ შორს, სადაც გაანათებს ლურჯი ფარანი...

მიწყდება ყველა!......ღამე შეკრთა ლურჯ იდუმალით
ჩემი თვალები დაედევნა ფარნიან აჩრდილს!
და როს მან კიდევ გადმოხედა მონგოლურ თვალით
მძინარ ქვეყანას. მძინარ ქალაქს,—იარაღ აყრილს,—

ვიცანი კარგად!—იგი ჰგავდა ქარს ბარად აშლილს,
ქარს სევდიანსა, ორღობეში მკვნესარს, მშფოთვარეს...
ლურჯ-ფერ აჩრდილში დაებუდა ლურჯ ბარათაშვილს.
ოჰ, საქართველოს, პირბადიან ნამგალა მთვარეს!..

**კაკი ეწრელი.**

## დაშორება.

მწუხარეა საღამო და ზარების გუგუნი
სულში სიმწუხარეა და ცისფერი გორები.
ქარს თან გაყვა სურვილი და მტრედების ღუღუნი.
ვწუხვარ, რომ სამუდამოთ ჩვენ ერთმანეთს ვშორდებით.

სად მიმაფრენს გრიგალი ასე ანაჩქარები;
არსად უჩანს საზღვარი ჩემს გზას ეკლით დაფარულს.
მწუხარეა საღამო, როგორც მარში ქარების.
აჩქარება დაეტყო შორ ღრუბლების თეთრ კრებულს.

ღამემ მთები დანისლა და მე შიშით ვკანკალებ.
ვიცი, რომ ვერასოდეს მოვალ განმეორებით.
მწარე ცრემლთა ყვავილი ეზმანება ჩემს თვალებს,
რომ ვშორდებით ერთმანეთს, სამუდამოთ ვშორდებით...

**დ. კობიძე.**

## სოფლელის სიმღერა.

სოფელს ლხენა მოიცავს,—
დღეს აქ ჩვენი ობა...
წინად რაც აქ სცოდნიათ—
აბა, რა ბიჭობაა!

ლოთობის, ჩხუბის ნაცვლად
„სპარტაკია“ რიგებად...
ქალაქიდან მოსულნი
მოგვცემენ დარიგებას!

შემდეგ კარგი იქნება:
ცეკვა და ვირჯიშობა. .
(უნდა შეჰქმნას ახალმა
უკეთესი ჯიშობა!)—

არ გაბედავს აქ ვინმე
მორცხვობას ან და—უარს;
მოზარდობა მოხდენით
იმღერებს და—დაუარს!..

სოფელს ლხენა მოიცავს,
დღეს აქ ჩვენი ობაა..,
წინად რაც აქ სცოდნიათ—
აბა, რა ბიჭობაა!

**არკადი აშარგადი**

## კამეა ცრემლების.

მოძელანდა ისევ
ცისფერი გედები,
მთვარე ზევით იწევს
(ღამეში გედები).

მგლოვიარე მესსის
ზარმა გამარიდა,
ო, რა ნათლად მესმის
ხმები სამარიდან!

უნდა ესეც ითქვას:
მაწამეს ქარებმა.
უადგილო კითხვას
მოსდევს მწუხარება.

დაჩრდილული დღეა
(ღრუბლების თვისება).
და სამარე ღია
თანდათან ივსება·

ო, ვიცოდე მაინც,
რატომ ვერ ვინებეთ—
გავჰყოლოდით მაისს
ვარდის გვირგვინებით!

მე დღეს, როგორც გუშინ,
დავდივარ არევით.
ორეულთა გუნდში
ეს მე ვარ—მკვდარივით.

აელვარდა ისევ
ჩამქრილი კამეა.
მთვარე ზევით იწევს...
ნუ სტირი!—ღამეა...

**გობრონ აგარელი.**

# საუბარი გლეხთან

**12 მრეწველობა, შეერთებული მიწათ-მოქ-მედებასთან.**

**წვრილი მრეწველობა ინგლისში.**

ხომალდთა და ლითონის მილების კეთებაც, თქმა არ უნდა, მიეწერება მსხვილ წარმოებას (243 და 156 მუშა საშუალოთ თვითეულ მათგანში). ასევე ხაზინის სალითონო ქარხნებიც, რომლებშიაც მუშაობს სულ 23.455 კაცი. ქიმიურ წარმოებაშიაც გვხდება მსხვილი წარმოებანი, მეტადრე ტუტეს და წუმწუმას წარმოებაში, სულ 25 ქარხანაა დიდი. მაგრამ საპნისა, სანთლისა, ხელოვნურ სასუქთა და სხვა ქიმიურ ნაწარმოებთა საკეთებელი ქარხნები მთლად წვრილებია, ამათი რიცხვი აღწევს ორი ათას წვრილ ქარხანას, რომლებშიაც საშუალოთ მუშაობს 29 კაცი თვითეულში. მართალია, ინგლისში არსებობს ბევრი დიდი სასაპნე ქარხნებიც, რომელთ სამფლობელო ხშირად, მთელს სამეფოებს მიემსგავსება, მაგრამ საშუალოთ კი, მუშათა რიცხვი თვითეულ მათგანში 29 კაცს არ აღემატება. ესეც ერთი საბუთი იმისა, თუ ამოდენა სიმრავლე წვრილ ქარხანათა, როგორ უძლებს ზემოთ-დასახელებულ მეფურ ქარხნებსა...

2.500 ქარხნამდე ამზადებს ხისა და რკინის ავეჯეულობას და თუმცა ამათშიაც არის ბუმბერაზული ქარხნები. მაგრამ უმეტესობა კი წვრილ ქარხნებს ეკუთვნის. წვრილი და სრულიად პაწაწინა ქარხნებიც კი იმდენია აქ დიდრონი ქარხნების გვერდითვე, რომ, ხშირად, ფეხს ვერ აუქცევ მათ. დიდრონი და უშველებელი მაღაზიები რომ არსებობს აქა-იქ, ეს მხოლოდ გამოფენაა ამ წვრილ და პაწაწინა ქარხნების ნახელოვნართა...

არსებობს აგრეთვე დიდი ქარხნები ამა თუ იმ სანოვაგე საქონლისა, მაგალითად, შაქრისა და შეკოლადისა, მურაბისა და კონსერვების კეთებისა, მაგრამ აქაც, მათსავე გვერდით არსებობს და მუშაობს მრავალი წვრილი ქარხნები, რომლებიც არასოდეს არ ჩივიან დიდი ქარხნების მეზობლობას და, პირიქით, სამი მეოთხედი პატარა ქარხნების მუშებისა სულ მათი შენაკვეთებით სცხოვრობს. არაფერს ვამბობთ ქარის წისქვილებზე... სოფლად და იმ აუარებელ სალუდო ქარხნებზე, რომელთა რიცხვი ინგლისში აღწევს ორი ათასზე მეტს და თვითეულში საშუალოთ მუშაობს 24 კაცი, მაშასადამე ესენიც მიეკუთვნება წვრილ წარმოებათ. აუარებელია აქ აგრეთვე საჰაერო (საგაზო) წყლების ქარხანა, სულ 3.365 წარმოება, 11 კაცით თვითეულ მათგანში.

დაჩითვის ქარხნებიც ეკუთვნის დიდ და მსხვილ წარმოებას, მაგრამ იქვე, მათის გვერდით არსებობს მრავალი წვრილიც. ამ ჯგუფში თვითეულ ქარხანაზე მოდის საშუალოთ 144 მუშა.

არის აგრეთვე დიდი წითელი სამღებროები, 394 მუშით თვითეულ მათგანში საშუალოთ, მაგრამ აქაც და მათსავე გარშემო არის 2.725 წვრილი ქარხნები, 36 მუშით საშუალოთ თვითეულ მათგანში.

ასევე ტანისამოსის, ქუდების, საცვლების, წაღების, ბაშმაკების და ხელთათმანების დასამზადებელ ქარხნებში საშუალოთ მუშაობს 80,100150 მუშა თვითეულ ქარხანაში. მაგრამ აქვე, მათსავე გვერდით მოქმედებს მრავალზე-უმრავლესი წვრილი ქარხანა. ქარხანა ყიდულობს მაუდებს, გამოსჭრის ტანისამოსს რა სახისაც უნდა საგინგებო მანქანებით და შეკერვით კი დედაკაცებს აკერვინებს.

არის უდიდესი ქარხნებიც ტყვია-წამლისა და ასაფეთქებელ მასალათა საკეთებლათაც და სხვა.

ამ გაკვრით დაწერილს წერილში ჩვენ ავწერთ უმთავრესათ დიდი წარმოებანი. დანარჩენი წარმოებანი ეკუთვნის წვრილ წარმოებებს. მაგალითად, ხე-ტყის ქარხნები, რომელთაც საშუალოთ ჰყავს თვითეულს 15 მუშა და საერთოდ კი 100.000 მუშა 6.000 ქარხანაში. წვრილსავე წარმოებებს ეკუთვნის აგრეთვე ტყავის ქარხნები, სპილოს და სხვა ძვლების წარმოებანი, აგურისა და ჰურჭლის ქარგნები, რომლებშიაც საერთოდ მუშაობს 260.000 მუშა და 11.200 პატრონი. წვრილსავე ქარხნებს ეკუთვნის ლითონთა გასაელვარებელი და მინაქრის მოსაკიდი ქარხნები, რადგანაც თვითეულს ამათგანში მუშაობს საშუალოთ არა უმეტეს 28 კაცისა...

მაგრამ არც ერთს წარმოებაში არ არის ისე გავრცელებული წვრილი მრეწველობა, როგორც სამიწად-მოქმედო მანქანების კეთებაში, საშუალოთ 32 მუშით თვითეულს ქარხანაში, სხვა და სხვა სამეურნეო იარაღების დამზადებაში (22 კაცი თვითეულში), ნემსთა და ქინძისთავთა ქარხნებში (43 მუშით თვითეულში) და სხვა და სხვა.

ავეჯეულობის კეთების ქარხნების რიცხვი 1979-ია, საშუალოთ 21 მუშით თვითეულში ამათში არ შედის ის სახელოსნოები, რომლებსაც არა აქვთ მანქანები, ამათვე მიეწერება ლორების კეთებისა თუ დამარილების და სხვა მისთანა წარმოებანი, სულ 2700 ქარხანა, 14 მუშით თვითეულში, მესაათების, ოქრომჭედლების, ძვირფას ქვათა მთლელების, აგრეთვე სტამბებისა, უნაგირებისა, ჩოტკებისა იალაქნებისა, კალათებისა და სხვა წვრიმალი წარმოებანი ტყავიდამ, ქაღალდიდამ, ხიდამ, ლითონიდამ 10—25 მუშით თვითეულში, იქმნა არ უნდა, მიეწერება აგრეთვე წვრილ წარმოებებს, ასე რომ დიდი ქარხნები, რომლებშიაც საშუალოთ მუშაობს არა ნაკლებ 1000 კაცისა თვითეულში და წვრილი წარმოებანი, რომლებშიაც მუშაობს არა უმეტეს 10 კაცისა, აძლევენ ცხოვრების საშუალებას მუშების თითქმის თანასწორ რიცხვს...

თქმა არ უნდა, რომ მსხვილ მრეწველობას დიდი უპირატესი მნიშვნელობა აქვს ინგლისში, მაგრამ ჩვენ ჯერ არაფერი გვითქვამს უბრალო სახელოსნოებზე. ამათი რიცხვი საერთოდ არის 147.000, რომლებშიაც მუშაობს 1.200.000 მუშა (ამათში 356.000 დედაკაცი იყო). ამათში შედიან ყოველგვარი ხელოსნები—პურის მცხობლები, მკერვალები, მეწაღენი, მეურმენი, სოფლის მჭედლები და სხვა, 5—20 მუშით თვითეულში. ამათვე მიეწერება 1.500 წვრილი წარმოება, რომლებშიაც მეტ-წილად მუშაობენ დედაკაცები და აკეთებენ არშიებს და სხვა და სხვა წვრილ ქსოვილებს. არის აგრეთვე 100 წვრილი ქარხანა ტყავების მოსაქნელი, 20.000 ქარხანა ეტლების კეთებისა, 800 ქარხანა ველოსიპედებისა, ლურსმნისა, ღუზებისა და სხვა წვრიმალთა. ტანისამოსის შეკერვის წვრილ წარმოებებზე ხომ ნულარას იტყვით, მთელი ასი ათასობით არის იგი მოფენილი, როგორც ქალაქების განაპირა უბნებში, ისე თვით სოფლებში და აუარებელ ხალხსაც აცხოვრებენ, ასე რომ თვით ჯარებისთვის საჭირო ტანსაცმელისაც კი ამათ აკერვინებენ...

ესევე ითქმის ავეჯზე, ლეიბებზე, ბალიშებზე, მუთაქებზე, ქუდებზე, ხელოვნურ ყვავილებზე, ქოლგებზე, ბაშმაკებზე და ძვირფას ქვათაწვრილ მთლელებზე. როგორც ვსთქვით, დიდი და ბრწყინვალე მაღაზიები მხოლოდ ამათი ნამუშევრის გამოფენაა, თორემ თითონ საქონელი სულ ამათგან მზადდება დი აქედან იყიდება. რიცხვი ასეთ ხელოსანთა მილიონზე მეტია ინგლისში. აშკარაა, რომ თუმცა, ინგლისი ითვლება მსხვილ წარმოებათა პირველ ქვეყანად, წვრილი წარმოებანი მაინც ისე არსებობს და იმ სახით და რაოდენობით, როგორც მსხვილი...

აღარას ვამბობთ საკუთრივ შინამრეწველობაზე, რომელიც ინგლისში დგას ისეთსავე სიმაღლეზე, როგორც შვეიცარიასა და გერმანიაში. აიღეთ თუნდა ქალაქი შეფილდი, რომელიც განთქმულია უმთავრესად დანების კეთებით და რომლებსაც აქ ხელით აკეთებენ და არა მანქანებით. ასევე—ქლიბები,ხერხები, სატეხები, [illegible] მისთანები, სულ ხელით კეთდება აქ. აქაური ხელოსნები მუშაობენ თავიანთ სახლებში ან [illegible] თუ პატარა სახელოსნოებში, სადაც გაყვანილია ელექტრონი და მწარმოებელნი ქირაობენ და ხმარობენ მას, როტორც მამოძრავებელ ძალას. ესევე ითქმის ყველა სხვა წარმოებებზე, რომლებიც ათასობით მოფენილია ინგლისის ქალაქებში და სოფლებში. ასე რომ თამამად შეიძლება ვსთქვათ: რაც უწინ იყო ფეოდალთა (მემამულეთა) ციხე-დარბაზები მიწადმოქმედებისათვის, იგივეა დღეს ბევრი მსხვილი წარმოება ინგლისში, რომლებიც თითონ არ აკეთებენ ამა თუ იმ საქონელს, არამედ თავისთვის საჭირო შენაკვეთებს სულ წვრილ სამრეწველო ქარხნებს თუ სახელოსნოებს აკეთებინებენ, თითონ კი მხოლოდ ერთიან სახეს, შნოს და ლაზათს აძლევენ ბაზრისთვის..,

ვსთქვათ არსდება სადმე ძაფის დიდი ქარხანა. მისთვის, როგორც ვიცით, საჭიროა ხის კოჭები, რომ ზედ ძაფი დაახვიონ და, აი, ამ მიზნით არსდება იქვე რამდენიმე წვრილი წარმოება სპეციალად ხის კოჭების საკეთებლად. ასეთს კოჭებს პირველად ხელით აკეთებდნენ და ახლა კი გამოიგონეს ისეთი მარჯვე მანქანები, რომ ყველანი მანქანებით რჩეობენ კოჭების გაკეთებას. ესევე ითქმის ველოსიპედებისა, მოტოციკლეტებისა, ავტომობილებისა და ჰაეროპლანების კეთების შესახებ. პირველად, რომ ველოსიპედი გამოიგონეს, ამას მოჰყვა მისი ნაწილების საკეთებლად წვრილი ქარხნების გაჩენა. ველოსიპედს მოჰყვა მოტოციკლეტი და ამათ ავტომობილი და ჰაეროპლანი, რომლებსაც მოჰყვა მათი წვრილი ნაწილების საკეთებლად ათასობითვე წვრილ ქარხანათა გაჩენა. ასევე, არსდება, ვსთქვათ, სადმე წუმწუმის ქარხანა. ხელად არსდება იქვე წკირებისა და კოლოფების საკეთებელი სახელოსნოები და სხვა...

**ივ. როსტომაშვილი.**

# გაუგებრობა თუ შეგნებული ბრძოლა ქართულის წინააღმდეგ

ნუ თუ კომპარტიის მე-12 ყრილობის შემდეგ კიდევ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ რევოლიუციისათვის უფრო მეტ საშიშროებას წარმოადგენს ველიკორუსიის შოვინიზმი პატარა საბჭოთა ერთეულებში, ვიდრე ის ნაციონალიზმი, რომელიც შედეგია ზემო აღნიშნული შოვინიზმისა.

ეს სიტყვა ალბათ ყველას ერთნაირათ არ ესმით. შოვინიზმი ის კი არ არის რომ ქართველმა მოქალაქემ საბჭოთა საქართველოში ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, რათა სახელმწიფო ენა, ქართული ენა, დაცული იქმნას,—პირიქით, შოვინიზმია ის, როდესაც პატარა საბჭოთა რესპუბლიკაში მომუშავე,—რუსი იქნება ის, თუ სხვა ტომის სულ ერთია,—არ დაემორჩილება ადგილობრივ კანონებს და მოითხოვს საქმის წარმოება მიდიოდეს მისთვის გასაგებ ენაზე.

სამწუხაროა არა მარტო ის, რომ ასეთი მოხელენი მოგვეპოებიან. არამედ გაუგებარიცაა, როდესაც ასეთ მოხელეს თავისი გააქვს და აიძულებს, უფროსის განკარგულებით, ქართველმა მოხელემ რუსულად აწარმოოს საქმე.

მე არ ვიცი, ეს გაუგებრობაა თუ შეგნებული ბრძოლა ქართულის წინააღმდეგ.

ამ შემთხვევაში ჩემი წერილი ეხება ჯ. ს. ქ. ფარმაცევტიულ განყოფილებას, სადაც ასეთ მიუტოვებელ ფაქტს ჰქონდა ადგილი და ის თანამშრომელი, რომელმაც მიმართა განყოფილების გამგეს, რათა ორდერი რუსულ ენაზე გამოწერილიყო, პასუხის გებაში უნდა ყოფილიყო მიცემული არსებული კანონის ძალით. მაგრამ აქ სხვა მოხდა აქ მოხდა დარღვევა კონსტიტუციისა, რისთვისაც საჭირო პასუხი უნდა აგოს, როგორც „მომჩივანმა“ თანა-

# ზღვის ხასიათი.

მე დიდხანს ვსცხოვრობდი ზღვის პირას და ამიტომ კარგად ვიცნობ ზღვას. მე მინახავს ის დამშვიდებული, როდესაც დინჯათ აქანავებს თავის ხუჭუჭა ტალღებს და ეთამაშება და ეალერსება ქვიშიანს ნაპირს; მე მინახავს ის აღელვებულიც, როდესაც შეუბრალებლად ისვრის თავის თავ-აწყვეტილს და გაგიჟებულ ტალღებს და ბრაზით და ღრიალით ახეთქებს დედა-მიწას!.. მე დავკვირვებივარ ზღვას და გამიგია მისი ხასიათი...

მე ვიცი, რომ ზღვას უყვარს მოწმენდილი ცა, ბრწყინვალე მზე და მხურვალე სხივები: მზის ალერსი ამშვიდებს მის მღელვარე გულს და ათბობს ზურმუხტა ტალღებს; დამშვიდებული და მიყუჩებული სთვლემს ტკბილად ზღვა, ლუღლუღებს, სხივებსა ჰკოცნის... კარგია მეტად მაშინ ზღვა: დამშვიდებული, სულ-გრძელი!..

მე ვიცი, რომ ზღვას ეჯავრება ნისლი და ღრუბლები: მოღრუბლული ცა აშფოთებს მის გულს და მის მძლავრ სულსა ჰხუთავს; გაშმაგებული და ამღვრეული იგი უჯანყდება ცას და მთლად ამბოხებული თავზედ ამტვრევს მას განრისხებულ და აქაფებულ ტალღებს... მაშინაც კარგია ზღვა: ამბოხებული, შურის მაძიებელი!..

და აი სწორედ მაშინ, ამღვრეულ ზღვაში, გამოიღვიძებს და წამოიშლება ნაძირალთა სამეფო... თავს აიღებს, გამოცოცხლდება და მღვრიე წყლებში დანავარდობს... მას ახარებს ზღვის მღელვარება, მას ახარებს ზღვის ტანჯვა!.. მაგრამ, ამაოა მისი სიხარული!..

თავალებული, ამღვრეული ზღვა გადმობრუნდება ძირიდან კიდემდე, აჰშლის და ამოჰრეცხს თავის ლამიან ფსკერს და მთლად წაჰლეკავს, გაანადგურებს ნაძირალთა სამეფოს!..

მის ამღვრეულ ტალღებში იღუპება ნაძირალთა მყუდროება: ამბოხებული ზღვა შეუბრალებლად სწყვეტს და ჰმუსრავს მათ თავის განუსაზღვრელ სივრცეში და როდესაც ჟინს მოიკლავს, დაცხრება, ნაპირზედ გადასტყორცნის ხოლმე... მაშინაც კარგია ისევ ზღვა: განწმენდილი, დამშვიდებული, სულ-გრძელი!..

მისი ნაძირლები მუდამ გარიყულნი რჩებიან...

**გენო ყორჩიბაში.**

# თალხი დღიურიდან

I.

...აღმოსავლეთს ალის ფერი ედო... ბუნება ხარობდა და სიხარულის მონიჭებისათვის ზეცას წრფელ მადლობას უძღვნიდა... შიკრიკი ძაფს აბამდა ცასა და დედამიწას შორის: ხან ცის ტატნობას გაეკვროდა, ხან ბუნების ტალღებში ჩაეშვებოდა... შემოქმედის კურთხევა ძირს მოქონდა; აქ მბობლავთა საცოდაობას შემოქმედს აევდრებდა...

შაკოს იდუმალი გრძნობით დაბრწყინებოდა თვალები... პერანგის ამარა წამომჯდარიყო და შორს სივრცეს ჩასჩერებოდა... ის არაფერს უცქერდა, მაგრამ ყველაფერს გრძნობდა... წყლიან თვალებზე ობოლი ცრემლი ეკიდა, რომელიც ამომავალი მზის სხივებს განეწონა, აეფერადებია!..

ბულბულმა ჩაარაკრაკა დილის საგალობელი...

გალობა შეწყდა!

— ოხ, რათ შესწყვიტა, რათ!

და შაკომ ნახევრათ მოხუჭა თვალები.. ის ხედავდა მაცოცხლებელ ტალღებს ბულბულის გალობისა... ადევნებდა მათ თვალს, მიყვებოდა ოცნებით, მიქროდა... ვარდს დაეჯახა ტალღები, შეარხია, სინანულის ცრემლები დაადინა... გაშორდა!.

— სად წადი, სად?! გაეხმაურა ვარდი და გაშტერდა!..

— რა კარგია, რა კარგი!. წაიდუდუნა შაკომ და ვარდს შეაშტერდა...

— ასეა სიცოცხლის დასაწყისში, ცელქობის დროს, როცა ყველაფერი ღვთიურია, ღიმილისტურია!!

და ახალგაზდა მგოსანი გადაეშვა ოცნებათა მორევში...

თვალები გაუბრწყინდა, ყელი მოეღერა, უფრო წარმოიწია, სივრცეს ჩააცქერდა... და გაქვავდა...

ის ოცნების ქანდაკებას გავდა...

———

მახლობელ ბაღჩაში თინო გაფაციცებით არჩევდა ვარდებს...

სინჯავდა, ნორჩებს ეძებდა.

ხან და ხან კი მაკრატლის ტაკა-ტუკი ერთვოდა ბუნების ჟრიამულს და მასთან... ვარდს სიცოცხლე ესპობოდა... თითოს ბროლივით ხელი ჯალათობდა, მუსრს აკლებდა მშვენიერ სიცოცხლეთ!.

ვარდი ევედრებოდა, შიშველ მკერდზე ეკვროდა, ცრემლს აფრქვევდა ზედ, ემუდარებოდა...

მაგრამ მშვენიერი ჯალათი თავისას განაგრძობდა!..

თინომ თვალი შეასწრო შაკოს... ეშხზე მოვიდა. გაშლილი ქერა თმა მკერდზე გადმოიყარა, კულულები აიშალა, წინ გადმოიწია და ცელქი ხმით შესძახა ოცნებაში გართულს ჰასაკით ტოლს,..

— შაკო! შაკუნა!!

შაკომ თვალები მიაპყრო...

— ოხ, თინო ხარ? რა კარგია!

— რამ გაგიტაცა, შაკო?

— მაქ რას შვრები ყვავილნარში?

— ხომ იცი, დღეს მგოსანთა საღამოა და მეც მინდა—ჩვენი ცხოვრების ყვავილებს დილის წამპკურებული ვარდი ვუძღვნა! თაიგულს ვაკეთებ!

— რა კარგია!

— რაა კარგი? შენ სულ ოცნებობ!

— ჰო, ვოცნებობ!

— რაზეა ან ვისზე, შაკუნა?.. და თინომ მიაპყრო ნაზი თვალები.,.

— ვიშ, რა კარგი და მომხიბლავია
სიცოცხლის დილა გიჟი, ალური
გრძნობათა ზღვაზე ოცნების ტალღა
საგაზაფხულო, მუსიკალური!.:
ბუნება ღელავს სიყვარულისთვის,
მასვე ჰიმნს უთხზავს ბულბული, ვარდი!!
აქ არ სადგურობს სულის მხუთავი
მოწყენა, ოხვრა, ცრემლი ან დარდი!!!

მგოსანი შესდგა...

— შემდეგი, შაკო?

— ჯერ ვარდი დავკრიფოთ, თითიკო!

და მშვენიერი წყვილი ბაღჩის სურნელოვან ბილიკში შესრიალდა...

———

II.

ჩამავალი მზე ეთხოვებოდა ქვეყანას... შაშვი მწუხრს ლოცულობდა... მზის უკანასკნელი სუსტი სხივი ბარბაცებდა მთის წვერზე... ეკლესიის გუმბათი ბრჭყვიალებდა... სასაფლაოს ქვები მდუმარეთ—თითქო წარსულზე ოცნებაში—შესცქეროდენ გუმბათს. გუმბათი კი მფარველობით დაჰყურებდა მათ...

ქვეყანა სასიკვდილოთ ემზადებოდა...

შალვა იჯდა თავით ხელებზე დაყრდნობილი და ნისლათ ქცეულ გორაკს მისჩერებოდა... სევდა აღბეჭდოდა თვალებში! შუბლის ნაოჭები სულის გოდებას ამჟღავნებდა... მარგალიტი ცრემლი სპეტაკ წვერს ამშვენებდა...

შემოდგომის ქარმა მძლავრათ ამოისუნთქა და ბაღჩის პირათ მდგომარე ჰადარს ყვითელი ფოთოლი დააყრევინა...

შრ-რ! შრ-რ-რ! გაისმა შალვას ახლოს სამარის ყრუ ხმის მსგავსათ...

მოხუცმა ამოიკვნესა და მოტიტვლებულ თავზე მთრთოლარე ხელი გადაისვა... თვალები კი დედა მიწისკენ დაუშვა!..

— აი, სად არის ბოლო ყოველთა!!

ჩაილაპარაკა მოხუცმა და მახლობელი ბაღჩისკენ მიბრუნდა.

მახლობელი ბაღჩა კი გახუნებულიყო... ვარდყვავილთა ბუჩქები გაძარცულნი მწუხარეთ გამოიყურებოდენ, ბედს შესჩიოდენ.. საბრალონი! უცრემლოთ, მხოლოდ ხმით სტიროდენ.!.

———

— თალიკო! შენ ეს ბილიკი გასწმინდე! მეც იქიდან მოუვლი!

— კარგი! მაგრამ ჯერ ეს მითხარი: რათ სცვივა ფოთლები, გოგილო?

— იმიტომ რომ ყვითელია, დაიკო! რათ ყვითლდება?

— მივხვდი! მაგრამ ეს მაკვირვებს: რათ ყვითლდება?

— ეს აღარ იცი?! ეს იმიტომ რომ... რომ ბებიას ვკითხოთ!

და ბავშები გაერთენ ბაღჩის წმენდაში.

———

— გაცივდებით მაქ! შემოდით სახლში!

გადმოსძახა ნამძინარევი თვალების ფშვნეტით თინათინმა.

— ბებია-ჯან! ჩამოდი აქ, შეხედე ჩვენს ბაღჩას!

— ამოდით მეთქი! თქვენი ბაღჩისთვის მცხელა?!

— თუ არ ჩამოდი, არ ამოვდივართ, ბებიკო, არა!

———

თინათინი ბუზღუნით შევიდა ბაღჩაში.. დროთა ბრუნვისაგან გახუნებულ იასამანს მიეყრდნო. ისიც ზანტათ შეირხა... ყვითელი ფოთლები დააფრქვია... და დაიკვნესა!

ოხ! რა რიგ ჰგავდენ ერთმანეთს!!

თინათინმა შენიშნა შალვა.

— აა! ბატონო შალვა! საღამო მშვიდობისა!

— საღამო მშვიდობისა, ქალბატონო თინათინ:

ოხ, რა კარგი იყო! ჩაილაპარაკა შალვამ.

— რა იყო კარგი? ბაღჩა?

— ჰო, ბახჩაც... შენც... მეც...

— ეჰხ, იყო და წავიდა!

— ჰო, ჩემო თინათინ, წავიდა! ეჰხ!

— გახსოვს, როგორ არ მახსოვს!

— ეხლა კი? ხედავ როგორ გაიძარცვა ჩვენი ბაღჩა?!

— ვხედავ, ვხედავ! ფეხს ნუ დაადგამთ ყვითელ ფოთლებს! ის წარსულია... ის მე და შენ ვართ!!

— გახსოვს შენი პოეზია ამ ბაღჩაში?

— მახსოვს! როგორ არა!

— ეხლა კი?

— არაფერი! პოეზიით დაიწყო და პროზით გათავდა!!

და მოხუცმა მგოსანმა თავი ჩაკიდა, და ნიდაყვებულ ხელებში ჩაუშვა...

უფრო მძლავრათ დაბერა შემოდგომის ქარმა... ხეები დაირწენ!

შრ-რ-რ! შრ-ო-რ! გაიშრიალა ყვითელმა, უსიცოცხლო ფოთლებმა...

— ბავშები სიცილ-კისკისით სწმენდდენ ბაღჩას ყვითელი ფოთლებისაგან...

**ნ. მანიძე.**

მშრომელმა, აგრეთვე მისი თხოვნის დამაკმაყოფილებელმა, განყოფილების გამგემ.

ნუ თუ დაწესებულებათათვის სავალდებულო არის კონსტიტუციის დაცვა და ნუ თუ ჩვენ, უბრალო მოქალაქეთ, რომელნიც დაინტერესებულნი ვართ ქართველი მშრომელი ხალხის კეთილდღეობით, დაგვეპირდება პრესის საშუალებით ვებრძოლოთ ამ გვარ მოვლენებს...

ამ საკითხზე ბევრი ითქვა კომპარტიის მე-12 ყრილობაზე, მე არ შევეხები ვრცელ სიტყვებს თვალსაჩინო დელეგატებისას, მე მხოლოდ ერთს ადგილს მოვიყვან აქ, სადაც მკაფიოდ და მოკლედ არის ნათქვამი. ეს გახლავთ დელეგატ იაკოვლევის სიტყვა. ის ამბობს: „მე დარწმუნებული ვარ, რომ მე-12 ყრილობა იტყვის, უმჯობესია ათ და ოც ველიკორუსიის შოვინისტს და ნაციონალისტს შევასწავლოთ იმ კუთხის ენა, სადაც ისინი მსახურობენ, ვიდრე თუნდაც ერთი გლეხი ვაიძულოთ დაამახინჯოს თავისი ენა საბჭოთა დაწესებულებაშიო“.

**ელავერტიხ—კარელი.**

# ეკონომიური ცხოვრება

**ქ. ფოთის ნავთსადგურიდან ქვა ნახშირი გა იტანეს.**

| წელი, თვე და რიცხვი | | ფუთი | ტონი |
|---|---|---|---|
| 6—IIX | 22 წ. | 188,000 | 3,032 |
| 6—IIX | „ | 57,083 | 920 |
| 18—IIX | „ | 396,717 | 6,398 |
| 15—I | 23 წ. | 93,000 | 1,500 |
| „ | „ | 328,650 | 5,301 |
| 27—II | „ | 189,600 | 3,058 |
| „ | „ | 62,133 | 1,002 |
| 3—II | „ | 62,013 | 1,000 |
| 5—II | „ | 243,420 | 3,981 |
| 10—II | „ | 280,400 | 4,523 |
| 21—II | „ | 131,087 | 2,114 |
| „ | „ | 119,277 | 1,924 |
| „ | „ | 67,681 | 1,089 |
| 17—II | „ | 29,800 | 481 |
| 28—II | „ | 129,273 | 2,093 |
| „ | „ | 263,200 | 4,245 |
| 4—III | „ | 228,445 | 3,685 |
| 20—III | „ | 46,299 | 759 |
| 22—III | „ | 469,919 | 7,579 |
| 28—III | „ | 429,273 | 6,924 |
| 30—II | „ | 253,415 | 4,089 |
| 1—IV | „ | 162,336 | 2,618 |
| „ | „ | 48,000 | 774 |
| „ | „ | 21,500 | 349 |
| „ | „ | 47,200 | 761 |
| 6—IV | „ | 66,928 | 1,097 |
| 11—IV | „ | 188,600 | |
| 12—IV | „ | 279,018 | |
| 15—IV | „ | 7,116 | |
| „ | „ | 326,221 | |
| 18—IV | „ | 248,293 | |
| 3—II | „ | 15,200 | |
| 5—IV | „ | 7,20„ | |
| „ | „ | 13,600 | |
| 27—IV | „ | 424,585 | |
| 27—IV | „ | 82,600 | |
| 28—IV | „ | 421,600 | |
| 3—V | „ | 182,700 | |
| 8—V | „ | 125,050 | |
| „ | „ | 184,000 | |
| 13—V | „ | 93,600 | |
| 17—V | „ | 153,388 | |
| 18—V | „ | 331,927 | |

სულ 7,633,862, ფუთ.

# სხვა და სხვა

— **რამდენი უჯდება ინგლისის ხალხს მეფე** აპრილში, ინგლისის სამეფო სახლის ერთ ერთი წევრი,—იორკის ჰერცოგი,—ქორწილდება. ეს ქორწინება ინგლისის ხაზინას ზედმეტი 15.000 გირვანქა სტერლინგი უჯდება წელიწადში, რადგან ინგლისური ზნითა და ტრადიციებით, დაქორწინებული ჰერცოგი ხაზინიდან იღებს 25.000 გირვანქას, უცოლო კი—10.000 გირვანქას მხოლოდ. ხარჯების ასეთი გადიდება, სრულიად ზედმეტია და არაა საჭირო ჰერცოგის შესანახათ. დიდ უკმაყოფილებას იწვევს მუშათა წრეებში; ისინი მიუთითებენ მასზე, რომ უამისოთაც ინგლისში ამ ჟამათ სიღატაკე და გაჭირვებაა. აი, როგორი ციფრები მოყავს გაზეთ „დეილი ჰერალდს“,—თუ რამდენს იღებს სამეფო სახლი საერთოდ, ინგლისის ხაზინიდან: თვით მეფე ყოველწლიურათ იღებს 570.000 გირ. სტერლინგს. ეს მრავალი ციფრი შემდეგნაირათ ნაწილდება:

| | |
|---|---|
| მეფის კერძო საშუალებანი . . . . | 110.000 |
| სასახლის შტატის შენახვა . . . . | 125.000 |
| გასავალი (არ ვიცით რა:) . . . . | 193.000 |
| სამუშაოები (არც ეს ვიცით:) . . . | 20.000 |
| გასავალი ქველმოქმედებისათვის . . | 13.000 |
| გაუთვალისწინებელი ხარჯები . . . | 8.000 |

სულ—470.000 გირ. სტერლინგი.

დედოფალი იღებს, გარდა ამის, 70.000 გირვანქას; ტახტის მემკვიდრე, თუმცა ცივილურ ფურცლით არაფერს იღებს, მაგრამ სარგებლობს მნიშვნელოვანი შემოსავლებით, მის მიერ კუთვნილ მამულებიდან. ეს ციფრები რომ რუსულ მანეთებზე გადავიტანოთ, შემდეგს მივიღებთ: მეფე თავისი ცოლითა და მემკვიდრით 150.008.000 მან. 1923 წლის ფულის ნიშნებით, ე. ი. ასორმოცდაათ ტრილიო ოთხმოც მილიარდ მანეთს ყოველწლიურად, ან თორმეტნახევარ ტრილიონს ყოველთვიურად და მერე ყოველივე ეს რისთვის?

— **რადიო—დუელი.** კიველის კოშკმა პირველი გამარჯვება გერმანულ რადიო-სადგურებთან ბრძოლაში, რომლებიც გადასცემდენ კონცერტებს ჰოლანდიაში, შვეიცარიაში და სხვა ქვეყნებში. ბერლინის რადიო სადგური სცდილობდა ესარგებლა ამ კონცერტით იმისათვის, რომ მუსიკალურ ნომრებს შორს შესვენების დროს გადაეცა ცნობები საფრანგეთის ძალადობის შესახებ რურის ოლქში ამასთან ერთად ზოგიერთი გერმანელი მსახიობები ამ ცნობების გადაცემასთან ერთად იმღერდენ გერმანულ ნაციონალურ ჰიმნს. გაიგონა რა გერმანული ჰიმნის ხმები, ეიფელის კოშკმა „ზომები მიიღო“. სანამ საკონცერტო პროგრამა სრულდებოდა, საფრანგეთის სადგური გაჩუმებული იყო. მაგრამ რურის ცნობებმა და გერმანულმა ჰიმნმა ის მოთმინებიდან გამოიყვანეს და მან დაიწყო საპასუხო ტალღების გამოგზავნა, რომლებიც სიგრძით ბერლინის სადგურის ტალღებს უდრიდა, ასე რომ ბერლინის სადგურის მიერ გადაცემული ხმების. გარჩევა შეუძლებელი შეიქნა.

ბერლინმა თავი დამარცხებულათ იცნო, და განაცხადა, რომ ამის შემდეგ კონცერტების დროს აღარ გადასცემს რურის ცნობებს და ნაციონალურ ჰიმნს.

# ხრონიკა

**სტეფანე ხარაზიშვილის 40 წ. სცენაზე მოღვაწეობა.**

სტეფანე ხარაზიშვილი ქუთაისიდან ბათომში გადასახლდა 1883 წ. შემოდგომაში. 1884 წ. გაეცნო ბათომის ქართველ საზოგადოებას. იქ ბათომში შესდგა დრამატიული წრე. მასში ჩაეწერა სტეფანე სცენის მოყვარეთ და ღებულობდა მუდმივ მონაწილეობას სასცენო საქმეებში. მსახურობდა აგრეთვე რკინის გზის კონტორაში.

1889 წ. სტეფანეს მიატოვებინეს კერძო სამსახური და მიიწვიეს ქართულ სცენაზე. იმ ხანებში დავით კლდიაშვილიც მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ქართული სცენის აღორძინებისათვის მუშაობაში. შესდგა მუდმივი დრამატიული წრე, რომელსაც ს. ხარაზიშვილი და დ. კლდიაშვილი ხელმძღვანელობდნენ.

1891 წ. საზოგადოების თხოვნით ს. ხარაზიშვილი ადგენს ნამდვილ დასს, ჩამოყავს თფილისიდან რვა მსახიობი და მთელ სეზონს განაგებს, შემდეგ ეწერება თფილისის დასში, მაგრამ კოტე ყიფშიძის რჩევით კვლავ რჩება ბათომში და განაგრძობს მუშაობას. ბათომში იმ ხანებში 8 ათასი მუშა მუშაობდა. საზოგადოება აძლევდა მატერიალურ დახმარებას სტეფანეს. და ქონდა მსახიობსაც გაბმული ძაფი მუშებთან, მათი თეატრთან დასაახლოვებლად.

1899 წელს სტეფანეს იწვევენ ბაქოში, სადაც იგი ორ წელიწადს დაჰყოფს. 1900 წ. ბათომის ქართულ სკოლიდან ღებულობს დეპეშას. ბათომში დაბრუნების შესახებ. სტეფანე ჩამოდის ბათომში, საიდანაც აგზავნიან მას ბარცხანაში.

12 წლის მუშაობას არ ჩაუვლია უქმად. მუშებმა სთხოვეს ხარაზიშვილს შეედგინა მუშებისაგან შემსდგარი დასი. სტეფანე ადგენს მუშათა დასს და 1905 წ. რევოლიუციამდე მეტად კარგათ მიდიოდა ამ დასის საქმე. მაგრამ რეაქციის სუსხმა მუშები დაფანტა. რამოდენიმე ხნის შემდეგ დადიანის ხელმძღვანელობით შეადგინეს ე. წ. „სამოგზაურო დასი“ რომელიც ხშირად მოგზაურობდა პროვინციებში, აგრეთვე ნოვოროსიაში. ამ ხნის განმავლობაში სტეფანე ფოთში ორჯერ იყო მოწვეული. მიიწვიეს გუდაუთაში და სოხუმში, სადაც დაჰყო 13 თვე. ბრუნდება ქ. ფოთში, სადაც დღემდე გამუდმებით ემსახურება ქართულ სცენას. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის განსაკუთრებით მშრომელ ხალხის წინაშე. მიუხედავათ ავათმყოფობისა, სტეფანე დიდის ენერგიით ეკიდება ხალხის სამსახურს.

ამ მოკლე ხანში ფოთში გაიმართება ხარაზიშვილის დიდი საღამო. იმედი გვაქვს ფოთის მშრომელი ხალხი დაესწრება ამ საღამოს.

უსურვებთ მოხუც მსახიობს ჯანმრთელობას და ქართულ სცენის საკეთილდღეოდ კვლავ ენერგიულ მუშაობას.

**გ. ჟვანია.**

**ბათომი.** ქართულ დრამის სეზონი ბათომში დასრულდა მაისის შუა რიცხვებში.

სეზონი დაიწყო 11 ღვინობისთვეს წარ. წელს მთავარ რეჟისორათ ტფილისიდან მოწვეული იყო კოტე ანდრონიკაშვილი.

დასში მოწვეულ იყვნენ აგრეთვე ცენტრიდან ქართულ სცენის დამსახურებული მსახიობი ვალერიან გუნია, ანეტა ქიქოძე, ციმაკურიძე და სხ.

ადგილობრივ მსახიობების შორის დასში იყვნენ: მიშა გელოვანი, შაქრო გომელაური, მარო მდივანი, კირილე მაჭარაძე, ძნელაძე და სხ.

სეზონი გაიხსნა ვასილ ყიფიანის პიესით „სამეგრელოს მთავარი ლევან“.

მთელი სეზონის განმავლობაში სულ დაიდგა 50-ზე მეტი წარმოდგენა.

რეპერტუარი შედგებოდა, როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე ნათარგმნ და ორიგინალურ პიესებიდან.

კლასიკურ პიესებიდან დაიდგა: „ოტელო“, „ახალი ქვეყანა“, „ვიდრე ხვალ უფალო“, „ყაჩაღები“ და სხ.

ორიგინალურ პიესებიდან დაიდგა: „სტუმარმასპინძლობა“ ტრ. რამიშვილისა; „პატარა კახი“ აკაკი წერეთლისა, „სიზმარი კოშკში“ კონს. ანდრონისა, „როდამ“ სანდრო შანშიაშვილისა, „თამარ ცბიერი“ აკაკი წერეთლისა‘ აგრეთვე ვალერიან გუნიას პიესები: „ალლუმი“, „ზოგი ჭირი მარგებელია“, „ოთახები უორდეროთ“, „დავიდარაბა“ და სხვა.

საზოგადოების თხოვნით პიესები მეორდებოდა სამჯერ და ხშირათ ოთხჯერაც.

მსახიობებთა შორის ალსანიშნავია ჩვენი სცენის ერთი ქურუმთაგანი და დასის პრემიერი ვალერიან გუნია, რომელიც მთელი სეზონის განმავლობაში განუწყვეტლივ მუშაობდა აგრეთვე როგორც მორიგი რეჟისორიც.

გუნიას მიერ შესრულებული როლები: პეტრონიუსი, ლევან ბატონიშვილი, ქართველი მეფე და სხ. დიდ ხანს წარუშლელად დარჩება ბათომის ქართულ საზოგადოების მეხსიერებაში.

ბათომის ქართულმა საზოგადოებამ, აჭარის მთავრობის ინიციატივით, დიდის პატივისცემით გადაუხადა ბენეფისი ამ დამსახურებულ არტისტს—ვ. გუნიას.

ვალერიან გუნიას გვერდს უმშვენებდა ნიჭიერი მსახიობ-ქალი ანეტა ქიქოძე, რომელსაც ამ სეზონში დაეტყო დიდი წარმატება.

ქიქოძის ქალი იქცევდა საზოგადოების ცენტრალურ ყურადღებას.

წარმატება დაეტყო აგრეთვე ციმაკურიძის ქალს, რომელსაც ამშვენებდა დამახასიათებელ როლების ამპლუას.

მარო მდივანი! მას უკვე კარგათ იცნობს ბათომის საზოგადოება და წრევანდელ სეზონშიაც არ ულალატნია ქართულ სცენისათვის.

ქართულ დრამის ხარჯები გაიღო აჭარის მთავრობის განათლების კომისარიატმა.

მომავალშიაც მთავრობას განზრახული აქვს სეზონის ორგანიზაციის ხარჯების მიღება. იწარმოებს მოლაპარაკებას ახალ დასის შედგენაზე.

წრევანდელ სეზონში დასის ადმინისტრატორათ იყო მსახიობი ვასო ურუშაძე.

**ქა—რი.**

**შეცდომის გასწორება:**

ჩვენი გაზ. გუშინდელ ნომერში, (იხ. ტრიბუნა № 467), იუსტინე აბულაძის წერილში რედაქციის მიმართ მე 4-ე გვერდზე, მე-4-ე და მე-5-ე სვეტებში შეცდომით დაისტამბა აფორიზმები: შოთას აფორიზმში: თავი ზომსა გარდიხდია, 22-ე გამ., გვ. 33, ხანა 228,4—შეცდომით დაისტამბა: „გარდგიფდია“; ხოლო ლათინურ აფორიზმში, (იხ. ibid. სვეტი მე-4-ე)—დასტამბულია imperiti loguantuv, უნდა იყოს—imperiti łoguantur.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.


# განცხადება

**ტფილისის აღმასკომის- ქალაქის საპკლაო ამით აცხადებს,**

**რომ იქ არსებობს საპნის ქარხანა, საიდანაც ყველა სამხედრო, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებს შეუძლიათ მიიღონ საპონი შეღავათიან ფასებში.**

დირექტორი: **ხოჯაშვილი.**

ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის მომწყობი კომიტეტი

# აცხადებს

# საჯარო ვაჭრობას

**სადგურის მოძრავი კომპრესორების და პერფორატორების მისაწოდებლად** კლდეში სამუშაოდ, ამასთანავე მიწოდებაში შედის: 1) ორი მოძრავი კომპრესორის სადგური, თვითეულის მოქმედება უნდა იყოს დაახლოვებით შესაქაჩავ ჰაერის 3 კბ. მეტრი წუთში და შეკუმშვითი ზედდაწოლა 7 ატმოსფერა. სადგური უნდა შესდგებოდეს ნავთის მამოძრავებელისა და კომპრესორისაგან, რომელნიც შეერთებული უნდა იყონ საერთო კოჭით და მოთავსებული რწინის ჩარჩოებზე საგორავებით და უნდა იყოს გამოსადეგი სოფლის შარაგზებზე გადასატანად. 2) 8 პერფორატორი საბრუნავი ბურღით ქვიშიან ადგილზებზე გასატარებლად. ბურღის წვეტის დიამეტრი უნდა იყოს არა ნაკლები 1 ნახევარ დიუმისა, გატარების სისწრაფე არა ნაკლები 170 მილიმეტრისა წუთში. 3) 20 კომპლექტი ჯავშნიანი შლანგებისა, 15 მეტრი სიგრძე თვითეული, წვეტით, დასამაგრებელი სანაგრიელით (хомут) 4) 8 კომპლექტი ფოლადის ბურღი, ამასთან თვითეულ კომპლექტში უნდა იყოს 3 ბურღი, ერთი სიგრძით 500 მილიმ., მეორე 1000 მილიმ. და მესამე—1500 მილიმ. 5) 2 კომპლექტი ინსტრუმენტი ბურღების ბოლოების შემოსაჭერად. 6) 1 ტონა სპეციალური საბურავი ფოლადი. წინადადებას თან უნდა დაერთოს ნახაზები და ვრცელი ტეხნიკური აღწერილობა და აგრეთვე აღნიშნული უნდა იყოს თვითეული საგნის წონა. მოძრავი სადგურების და ხელსაწყობის საფასურში უნდა შევიდეს სათადარიგო ნაწილების კომპლექტები. ფასები უნდა იყოს აღნიშნული ჩერვონცებში მუშაობის ადგილზე მიტანით (სად. ავჭალა, ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის მომწყობი კომიტეტის ჩიხი). მანქანის და მოწყობილების დადგმით და ამუშავებით. საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ ხელსაწყოს ფასებში უნდა იქნას შეტანილი საბაჟო გადასახადი. წინადადებაში უნდა იქნეს აღნიშნული ფასის გადახდის პირობები და პირობის შეუსრულებლობისათვის ჯარიმა, თუ რომ ვადაზე არ იქნება ადგილზე მიტანილი და დადგმული მთელი განწყობილება. განცხადებები უნდა იქნას შეტანილი კომიტეტში (ველიამინოვის ქ. 3) ა. წ. 23 ივნისს არა უგვიანეს შუადღის 12 საათისა, დახურულ კონვერტებში წარწერით: „პნევმატიურ მოწყობილებათა მისაწოდებლად გამოცხადებულ ვაჭრობისათვის“.

№ 377—2—2


[illegible] 1920 ნიბა დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. № 372 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუზენშტერნის ქუჩ. №. 4